

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

B კრედიტი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

31 დეკემბერი 2019

შინაარსი

	გვერდი
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	i-iV
სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულის მოძრაობის ანგარიშგება	4
განმარტებითი შენიშვნები	5-39

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „B კრედიტის“ მფლობელებს და სამეთვალყურეო საბჭოს:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „B კრედიტის“ („მისო“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს მისოს ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ მისოსგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირების გარეშე, გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ მისო-ს მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 415,975 (2018: 137,348 ლარი) ლარი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის და ამ თარიღისათვის მისი დაგროველი ზარალი შეადგენს 1,198,837 ლარს (2018: 782,862 ლარი). ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს მისო-ს უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

სხვა ინფორმაცია ასახულია 2019 წლის მმართველობის ანგარიშში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მისოს ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2019 წლის მმართველობის ანგარიშში

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მისოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს მისოს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს მისოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია მისოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც

საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ მისოს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ მისოს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს მისოს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა მისოს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება მისო უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მისოს სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მისოს 2019 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, მისოს 2019 წლის მმართველობის ანგარიშის კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

10 ივნისი 2020

არესემ საქართველოს სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

შპს მისო „B კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი	4	1,117,620	1,172,876
საპროცენტო ხარჯი	4	(700,740)	(822,154)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	4	417,150	350,722
სესხების გაუფასურების ანარიცხი	9	(402,610)	(32,813)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების გაუფასურების ანარიცხის შემდეგ		14,540	317,909
საოპერაციო ხარჯები	5	(435,318)	(386,576)
ვალუტის ვაჭრობით მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)		6,087	(875)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		7,095	8,426
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ზარალი	6	(34,109)	(84,304)
წლის ზარალი		(441,705)	(145,420)
მოგების გადასახადის ხარჯი	7	25,730	8,072
წლის წმინდა ზარალი		(415,975)	(137,348)
სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		(415,975)	(137,348)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 10 ივნისს.

გოჩა არსიაშვილი

დირექტორი

დავით შაფაქიძე

ბუღალტერი

შპს მისო „B კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-დეკ-19	31-დეკ-18
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	15,642	31,749
გაცემული სესხები	9	3,645,750	4,486,667
გადავადებული გადასახადის აქტივი	13	38,642	11,884
არამატერიალური აქტივები		32,310	6,488
სხვა აქტივები		14,148	5,885
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	689,934	1,239,603
სულ აქტივები		4,436,426	5,782,276
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	1,717,380	654,573
დაგროვილი ზარალი		(1,198,837)	(782,862)
სულ კაპიტალი		518,543	(128,289)
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12	3,876,812	5,881,698
სხვა ვალდებულება		32,708	21,931
საგადასახადო ვალდებულებები		8,363	6,936
სულ ვალდებულებები		3,917,883	5,910,565
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,436,426	5,782,276

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 10 ივნისს.

გოჩა არსიაშვილი

დირექტორი

დავით შაფაქიძე

ბუღალტერი

შპს მისო „B კრედიტი“
 ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენი შენა	მფლობელთა კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისთვის		269,728	(645,514)	(375,786)
წლის ზარალი			(137,348)	(137,348)
კაპიტალის შევსება		384,845	-	384,845
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის		654,573	(782,862)	(128,289)
წლის ზარალი		-	(415,975)	(415,975)
კაპიტალის შევსება		1,062,807	-	1,062,807
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის		1,717,380	(1,198,837)	518,543

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 10 ივნისს.

გოჩა არსიაშვილი

დირექტორი

დავით შაფაქიძე

ბუღალტერი

შპს მისო „B კრედიტი“
 ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის ზარალი		(441,705)	(145,420)
<i>კორექტირებები:</i>			
საპროცენტო შემოსავალი	4	(1,117,620)	(1,172,876)
საპროცენტო ხარჯი	4	700,470	822,154
სესხების გაუფასურების ანარიცხის ხარჯი	9	402,610	32,813
ცვეთა და ამორტიზაცია		10,675	15,482
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		(985)	-
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		28,022	85,179
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		(418,533)	(362,668)
<i>ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში</i>			
გაცემული სესხების (ზრდა)/კლება	9	680,323	405,074
სხვა აქტივების (ზრდა)/კლება		(8,263)	61
სხვა ვალდებულებების ზრდა/(კლება)		11,177	(20,590)
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		264,704	21,877
მიღებული პროცენტი	9	996,113	1,215,567
გადახდილი პროცენტი	12	(510,628)	(869,263)
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		750,189	368,181
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(2,250)	(2,635)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(32,156)	-
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	8	15,002	-
საინვესტიციო საქმიანობის შედეგად გასული ფულადი სახსრები		(19,404)	(2,635)

შპს მისო „B კრედიტი“
 ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)

ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული სესხების ცვლილება	12	(2,384,570)	(315,314)
საწესდებო კაპიტალის შევსება		1,062,807	384,845
ფინანსური საქმიანობის შედეგად მიღებული/გასული ფულადი სახსრები		(1,321,763)	69,531
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		41,309	(32,814)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)		(549,669)	402,263
ნაშთი წლის დასაწყისში		1,239,603	837,340
ნაშთი წლის ბოლოს		689,934	1,239,603

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 10 ივნისს.

გოჩა არსიაშვილი

დირექტორი

დავით შაფაქიძე

ბუღალტერი

1. ზოგადი ინფორმაცია

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „B კრედიტი“ („მისო“) იურიდიულ პირად რეგისტრირებულია და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (დაფუძნდა 2009 წლის 19 აგვისტოს). ოფისის მისამართი: საქართველო, ქ.თბილისის ქავთარაძის N19. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ოპერირებს როგორც ორგანიზაცია, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს მიკრო სესხებს (მაქსიმუმ 100,000 ლარის ოდენობით ერთ მსესხებელზე) უძრავი ქონებისა და სატრანსპორტო საშუალების უზრუნველყოფით, ასევე უზრუნველყოფის გარეშე. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსის დარეგისტრირება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოხდა 2009 წლის 4 სექტემბერს.

მისოს დამფუძნებელი არის ირაკლი ბურჭულაძე (2017 წლის 31 დეკემბრამდე 100% წილის მფლობელი). 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მფლობელთა წილები მოცემულია შემდეგი სახით: ირაკლი ბურჭულაძე 50%, თამარ მარშანია 50%.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციის თანამშრომელთა სრული რაოდენობა შეადგენდა 11 (2018: 12).

ძირითადი საქმიანობა. მისოს ძირითადი საქმიანობაა მიკრო სესხების გაცემა (მაქსიმუმ 100,000 ლარის ოდენობით ერთ მსესხებელზე) უძრავი ქონებისა და სატრანსპორტო საშუალების უზრუნველყოფით, ასევე უზრუნველყოფის გარეშე.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. მისოს სარეგისტრაციო მისამართი არის: საქართველო, ქ.თბილისის ქავთარაძის N19.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში („ლარი“).

2. საქართველოს ბიზნეს გარემო

მისო მთავარ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველო კვლავ აჩვენებს კონკრეტულ დამოკიდებულებას განვითარებად, ზრდად ბაზარზე. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა განიცდის სხვადასხვა სახის განმარტებების ზეგავლენას და ხელს უწყობს საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების წინაშე მდგომი გამოწვევების წარმოქმნას.

საქართველოს შემდგომი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობაზე საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ შედეგებთან ერთად.

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არსებულ გარემოებებში იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა უზრუნველყოს მისოს საქმიანობის მდგრადობა და განვითარება.

3. ანგარიშგების მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა

3.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს სტანდარტები”) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მისოს მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

მისო სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. მისო მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

ფუნქციონირებადი საწარმო

მისო დგას გარკვეული ფინანსური და საოპერაციო სირთულეების წინაშე, რომელიც ქვემოთ არის აღწერილი:

- მისო-ს მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა - 415,975 ლარი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის (2018 137,348) და,
- ამ თარიღისათვის მისი დაგროველი ზარალი შეადგენს 1,198,837 ლარს (2018: 782,862).

ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს მისო-ს უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

სირთულეების ძირითადი მიზეზი არის: ა) უცხოური ვალუტის კურსების ცვლილებები, რაც უკავშირდება მიღებული სუბორდინირებული სესხებს, და ბ) სესხის გაუფასურების ზარალის აღიარება ფასს 9-ის შესაბამისად.

შემასუსტებული ფაქტორები:

მენეჯმენტმა შეიმუშავა გეგმა აღნიშნული სირთულეებისა და გამოწვევების დასაძლევად, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

- საჭიროების შემთხვევაში დამფუძნებლები გამოთქვამენ მზადყოფნას კაპიტალში დამატებითი ფულადი შენატანების განხორციელებაზე.
- საჭიროების შემთხვევაში დამფუძნებლები გამოთქვამენ მზადყოფნას მისო B კრედიტზე გაცემული სესხების კონვერტირება მოხდეს საწესდებო კაპიტალში შენატანის სახით როგორც ეს განსაზღვრულია სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულებაში.

შპს მისო „B კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ქართულ ლარში

- საჭიროების შემთხვევაში დამფუძნებლები და სხვა დაკავშირებული მხარეების მიმართ სასესხო ვალდებულებების პირობების გადახედვას, რაც ხელშე შეუწყობს საპროცენტო ხარჯის შემცირებას.

- მენეჯმენტი გეგმავს შეამციროს მენეჯმენტის ანაზღაურების ხარჯები, რაც ასევე გავლენას მოახდენს მისოს მომავალ მომგებიანობაზე.

ზემოთ აღნიშნული სამოქმედო გეგმა ხელს შეუწყობს მისოს ფინანსური და საოპერაციო მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ამ შემასუსტებელი გარემოებების გათვალისწინებით, მენეჯმენტი დარწმუნებულია მისოს უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა და შევიდა ძალაში

მისო იყენებს ახალ, შესწორებულ ან შეცვლილ სტანდარტებს, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ და ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

აღრიცხვის სტანდარტები და განმარტებები, რომლებიც შეესაბამება მისოს

მისომ ფასს 16 დანერგა 2019 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული სტანდარტი ცვლის ბასს 17 იჯარას და მეიჯარისათვის აუქმებს საოპერაციო და ფინანსური იჯარების კლასიფიკაციას. მოკლევადიანი იჯარისა და იმ იჯარის გარდა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს მისოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აღიარდება აქტივის გამოყენების უფლება და მისი შესაბამისი საიჯარო ვალდებულება.

საოპერაციო იჯარის ხარჯი იცვლება აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯით (რომელიც საოპერაციო ხარჯების ნაწილში კლასიფიცირდება) და იჯარის ვალდებულებაზე აღიარებული საპროცენტო ხარჯით (რომელიც ფინანსური ხარჯების ნაწილში კლასიფიცირდება).

იჯარის ადრეული პერიოდებისათვის მასთან დაკავშირებული ხარჯები ფასს 16-ის მიხედვით მეტია წინამორბედ ბასს 17-თან შედარებით, თუმცა EBITDA (მოგება საპროცენტო ხარჯის, მოგების გადასახადისა და ცვეთის ხარჯამდე) უმჯობესდება გამომდინარე იქედან, რომ საოპერაციო ხარჯი ნაცვლდება საპროცენტო ხარჯითა და ცვეთის ხარჯით მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

დანერგვის გავლენა

რამდენადაც მისოს საიჯარო ხელშეკრულებები არ აკმაყოფილებს სათანადო კრიტერიუმებს ფასს 16-ის მიხედვით აღსარიცხად, ფასს 16-ის დანერგვას არ მოუხდენია გავლენა მისოს ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

მისოს არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. მისოს ჯერ არ აქვს შეფასებული ამ ახალი ან შესწორებული აღრიცხვის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების გავლენა.

3.2. სააღრიცხო პოლიტიკა

ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზირებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს სესხის ძირითადი თანხის დასაფარად გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს დაგროვილი ამორტიზაცია, თავდაპირველ ღირებულებასა და დასაფარ ღირებულებას შორის სხვაობის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი და მინუს (პირდაპირ, ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი, ან თანხის ამოუღებლობით (უიმედო ვალით) წარმოქმნილი ნებისმიერი დანაკარგები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი საკრედიტო ზარალი. გაანგარიშება მოიცავს ყველა საზღაურსა და გადახდილ ან მიღებულ ერთეულს (აქტივის ნომინალური ღირებულების ცვლილების ყოველი ერთეული) ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე გარიგების დანახარჯებსა და ყველა სხვა პრემიასა და ფასდათმობას. არსებობს ვარაუდი, რომ მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის მოსალოდნელი ვადა და ფულადი ნაკადები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

როდესაც მისოს მიერ ხდება მომავალი ფულადი ნაკადების გადახედვა შესაბამისი ფინანსური აქტივი ან ვალდებულების კორექტირდება რათა აისახოს ცვლილებები. მისოს მიერ ნებისმიერი ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალში.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო ამონაგები საწარმომ უნდა გამოითვალოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. საწარმომ ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას უნდა განსაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში

ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს, არამედ შემდგომში გახდა საკრედიტო რისკის გავლენით გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამგვარი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საწარმომ, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში ეფექტური

საპროცენტო განაკვეთი უნდა გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარება

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ბაზრის სტანდარტული პირობებით ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვისას ფინანსური აქტივების აღიარება და აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს გარიგების თარიღით ან ანგარიშსწორების თარიღით, შესაბამისად.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისათვის მისო ფინანსური აქტივის აღიარებისთანავე, აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ანარიცხს მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თუ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან ორგანიზაციი ფინანსური ინსტრუმენტებს ამ თარიღისთვის აღრიცხავს შემდეგნაირად:

ა) თუ რეალური ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი პირველი დონის ამოსავალი მონაცემი), ან ეყრდნობა შეფასების ისეთ მეთოდს, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ემპირიული ბაზრების მონაცემები. ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში რეალური ღირებულება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის თანხის გადავადების გზით

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება ისეთი ფაქტორის ცვლილებით (დროის ფაქტორის ჩათვლით), რომელსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას

ფინანსური აქტივები

ა) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების კლასიფიცირდება შემდგომ შეფასებით კატეგორიებში:

- შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით
- შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან
- შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული

სტანდარტის მოთხოვნები კლასიფიკაციისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

სავალო ინსტრუმენტები

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი რომელიც შეესაბამება განმარტებას რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას, სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

- ა) ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის და
- ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით მისო აქდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

- ამორტიზირებული ღირებულება: ორგანიზაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.
- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით: ფინანსური აქტივი, რომელსაც ორგანიზაცია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა, და არ არის აღიარებული როგორც „რეალური ღირებულება მოგება ზარალში ასახვით“ კატეგორიაში. ღირებულებაში მოძრაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება კაპიტალიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.
- რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით: აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზირებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ბიზნეს მოდელი

ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს მისოს აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. მისოს მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

წილობრივი ინსტრუმენტებიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღირცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში.

გაუფასურება

ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს:

- მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;
- ფულის დროით ღირებულებას; და
- გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი: 1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან 2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არა ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიაწიოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, გარდა:

- ა) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;
- ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა.
- გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა.

აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულებდა - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება

თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის მისოს აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ მისო შეასრულებს მას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადებამდე მოქმედი განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მათი დადგომის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

მისოს ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია მისოს ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები (მაგ: გასაყიდად არსებული წილობრივი ინსტრუმენტები) კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

შპს მისო „B კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ქართულ ლარში

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	აშშ	ევრო	ფუნტი
	დოლარი		სტერლინგი
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.8677	3.2095	3.7593
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6766	3.0701	3.3955
საშუალო გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.8224	3.1585	3.991
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.5345	2.9913	3.3812

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებას მინუს დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში, შემცირებული ნაშთის მეთოდის გამოყენებით შემდეგნაირად:

ავტოსატრანსპორტო საშუალებები	7 წელი
ოფისის აღჭურვილობა	7 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს.

მისოს არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და უმთავრესად მოიცავს კაპიტალიზირებულ კომპიუტერულ პროგრამებს.

შეძენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენაზე და სასარგებლო მდგომარეობაში მოყვანაზე გაწეული ხარჯების საფუძველზე.

განვითარების ხარჯები, რომელიც უშუალოდ უკავშირდება იდენტიფიცირებულ და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელსაც მისო აკონტროლებს, აისახება არამატერიალურ აქტივად, თუ ითვლება, რომ მათთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ჯამი აღემატება ხარჯებს. კაპიტალიზირებული დანახარჯები მოიცავს პროგრამული განვითარების გუნდის სამტატო დანახარჯებს და ზედნადები ხარჯების შესაბამის ნაწილს.

კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა ყველა ხარჯი, მაგალითად მათი ტექნიკური მომსახურება, აღირიცხება ამგვარი ხარჯების გაღებისას.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემცირებული ნაშთის მეთოდით, გამოყენებით 15%-იანი ამორტიზაციის ნორმით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს შემოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის, იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიზნულია აქტივთა ჯგუფი.

გამოყენების ღირებულება არის აქტივის/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მომავალში გამოყენების შედეგად მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულება გამოითვლება დაბეგრამდე დისკონტირებული განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება

მიუხედავად იმისა, არის თუ არა გაუფასურების ნიშნები, ყოველწლიურად, ან უფრო ხშირად ხდება ასეთი აქტივების გაუფასურებაზე შემოწმება, თუ მოვლენები ან ცვლილებები გარემოებებში მიუთითებს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გაუფასურებას.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, რადგან ის დაკავშირებულია იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ტრანზაქციებთან.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის დასაბეგრ მოგებასთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშები ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი წარმოდგენილია საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდში გადატანასთან და დროებით სხვაობებთან მიმართებაში, რომელიც წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ მისოს აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

3.3 მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო საკითხები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მისოს ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრა, ცვეთის და ამორტიზაციის ნორმების განსაზღვრა, გადავადებული გადასახადი და სხვა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

შპს მისო „B კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

4. საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები

	2019	2018
	ლარი	ლარი
საპროცენტო შემოსავლები		
საპროცენტო შემოსავალი იპოთეკური სესხებიდან	1,088,449	1,166,653
საპროცენტო შემოსავალი მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებიდან	5,805	6,223
საპროცენტო შემოსავალი უზრუნველყოფის გარეშე სესხებიდან	23,366	-
სულ საპროცენტო შემოსავლები	1,117,620	1,172,876
საპროცენტო ხარჯები		
საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხებზე	(700,470)	(822,154)
სულ საპროცენტო ხარჯები	(700,470)	(822,154)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	417,150	350,722

5. საოპერაციო ხარჯები

	2019	2018
	ლარი	ლარი
თანამშრომელთა ხარჯი	247,848	253,625
მარკეტინგის ხარჯები	57,108	27,748
საოფისე იჯარა	24,000	24,000
ცვეთა და ამორტიზაცია*	10,675	15,482
პროფესიული მომსახურება**	15,000	12,000
კომუნიკაციის ხარჯები	16,650	11,046
კომუნალური ხარჯები	4,727	4,279
ჯარიმები	23,344	12,672
სხვა საოპერაციო ხარჯები	35,966	25,724
სულ საოპერაციო ხარჯები	435,318	386,576

* ცვეთა - , ამორტიზაცია - .

** პროფესიული მომსახურება მოიცავს აუდიტის ღირებულებას

6. წმინდა ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან

	2019	2018
	ლარი	ლარი
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	251,002	445,459
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(285,111)	(529,763)
სულ წმინდა ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(34,109)	(84,304)

შპს მისო „B კრედიტი“
ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

7. მოგების გადასახადის ხარჯი

	2019	2018
	ლარი	ლარი
მიმდინარე მოგების გადასახადი	-	-
გადავადებული მოგების გადასახადის სარგებელი (იხ. შენიშვნა 14)	25,730	8,072
სულ მოგების გადასახადი	25,730	8,072

მოგების გადასახადი არის წლიური მოგების 15%.

<i>საგადასახადო ხარჯის შეჯერება</i>	2019	2018
	ლარი	ლარი
წლის სააღრიცხვო მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	(441,705)	(145,420)
კორპორაციის გადასახადის დანარიცხი 15% განაკვეთით	(66,256)	(21,813)
<i>კორექტირებები:</i>		
მუდმივი სხვაობა	(64,707)	(18,807)
დროებითი სხვაობა	26,759	8,072
წლის მოგების გადასახადის ხარჯი	25,210	8,634

2018 წლის 31 დეკემბრისთვის, აქტივებზე/ვალდებულებებზე გადავადებული გადასახადი ხელახლა ფასდება იმ მოცულობამდე, რომელთა გამოყენება უნდა მოხდეს 2019 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბერს შორის პერიოდში.

შპს მისო „B კრედიტი“
 ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

8. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
1 იანვარი 2018 წელი	76,867	34,833	111,700
შეძენა	2,635	-	2,635
31 დეკემბერი 2018 წელი	79,502	34,833	114,335
შეძენა	1,051	1,200	2,251
გაყიდვა	-	(28,567)	(28,567)
31 დეკემბერი 2019 წელი	80,553	7,466	88,019
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი 2018 წელი	(55,008)	(14,184)	(69,192)
ცვეთის ხარჯი	(8,418)	(4,976)	(13,394)
31 დეკემბერი 2018 წელი	(63,426)	(19,160)	(82,586)
ცვეთის ხარჯი	(3,688)	(653)	(4,341)
გაყიდული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	14,550	14,550
31 დეკემბერი 2019 წელი	(67,114)	(5,263)	(72,377)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი 2018 წელი	21,859	20,649	42,508
31 დეკემბერი 2018 წელი	16,076	15,673	31,749
31 დეკემბერი 2019 წელი	13,439	2,203	15,642

9. გაცემული სესხები

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
	ლარი	ლარი
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	4,244,545	4,844,485
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - - მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	54,027	54,078
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - უზრუნველყოფის გარეშე	161,685	-
მინუს: სესხების გაუფასურების ანარიცხი	(814,507)	(411,896)
სულ გაცემული სესხები	3,645,750	4,486,667

გაცემული სესხებიდან მიღებულმა საპროცენტო შემოსავალი იხილეთ მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

2019 წლის საკომისიო შემოსავლები გაცემული სესხებიდან შეადგენდა 13,541 ლარს. (2018: 27,628).

შპს მისო „B კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ქართულ ლარში

ქვემოთ ცხრილში მოცემულია სესხების რეზერვის გაუფასურების მოძრაობა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ეტაპი 1 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი -	სულ
ნაშთი წლის დასაწყისში ბასს 39-ის შესაბამისად				81,919
ფასს 9-ის დანერგვით გამოწვეული ცვლილება				305,634
ნაშთი წლის დასაწყისში	135,032	159,442	93,079	387,553
გატადანა 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალში	46,763	(46,763)	-	-
გატადანა ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(9,682)	9,682	-	-
ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ახალი ხესხების გატადანა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(56,302)	-	56,302	-
რეზერვის აღდგენა	(66,114)	(112,679)	-	(178,793)
ჩამოწერილი წლის განმავლობაში	-	-	(93,079)	(93,079)
ახალი სესხების რეზერვი	28,277	4,384	-	32,661
წინა პერიოდში გაცემული სესხების რეზერვში ცვლილება	-	102,376	161,178	263,554
31 დეკემბერი 2018	77,974	116,442	217,480	411,896
გატადანა 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალში	53,647	(53,647)	-	-
გატადანა ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(14,147)	14,147	-	-
ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ახალი ხესხების გატადანა მოსალოდნელი საკრედიტო	(5,847)	(27,728)	33,575	-
რეზერვის აღდგენა	(19,472)	(35,066)	-	(54,538)
ჩამოწერილი წლის განმავლობაში	-	-	(122,015)	(122,015)
2019 წელს აღებული სესხების რეზერვი	25,224	63,047	-	88,271
წინა პერიოდში გაცემული სესხების რეზერვში ცვლილება	(8,252)	107,599	391,546	490,893
31 დეკემბერი 2019	109,127	184,794	520,586	814,507

შპს მისო „B კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ქართულ ლარში

მომხმარებელზე გაცემული სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	ეტაპი 1 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სულ
ნაშთი წლის დასაწყისში	4,981,860	263,077	93,352	5,338,289
გატადანა 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალში	91,189	(91,189)	-	-
გადატანა ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული რეზერვში	(257,795)	257,795	-	-
ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ახალი ხესხების გადატანა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებულ რეზერვში	(216,383)	-	216,383	-
გადახდილი სესხები	(2,661,416)	(171,888)	-	(2,833,304)
წინა წელს გაცემულ სესხებში ცვლილება	(14,364)	(3,177)	1,097	(16,444)
ჩამოწერილი სესხები წლის განმავლობაში	-	-	(93,352)	(93,352)
ახალი სესხები	2,474,146	29,228	-	2,503,374
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,397,237	283,846	217,480	4,898,563
გატადანა 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალში	124,817	(124,817)	-	-
გადატანა ეტაპი 2 სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული რეზერვში	(540,263)	540,263	-	-
ეტაპი 3 სრული სასიცოცხლო ახალი სესხების გადატანა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებულ რეზერვში	(286,363)	(61,618)	347,981	-
გადახდილი სესხები	(1,278,632)	(97,410)	-	(1,376,042)
წინა წელს გაცემულ სესხებში ცვლილება	(127,179)	25,364	77,139	(24,676)
ჩამოწერილი სესხები წლის განმავლობაში	-	-	(122,015)	(122,015)
ახალი სესხები	802,426	282,001	-	1,084,427
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,092,043	847,629	520,585	4,460,257

შპს მისო „B კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მომხმარებელზე გაცემული სესხების გადანაწილება ეკონომიკურ სექტორის მიხედვით შემდეგია:

	31-დეკ-19		31-დეკ-18	
	ლარი	%	ლარი	%
ფიზიკური პირები				
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	4,244,545	95%	4,844,485	99%
ავტომანქანებით უზრუნველყოფილი სესხები	54,027	1%	54,078	1%
უზრუნველყოფის გარეშე სესხები	161,685	4%	-	-
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	4,460,257	100%	4,898,563	100%
სულ გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)	4,460,257	100%	4,898,563	100%

	31-დეკ-19		31-დეკ-18	
	ლარი	%	ლარი	%
ფიზიკური პირები				
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	774,708	95%	408,652	99%
ავტომანქანებით უზრუნველყოფილი სესხები	11,163	1%	3,244	1%
უზრუნველყოფის გარეშე სესხები	28,636	4%	-	0%
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები				
სულ გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)	814,507	100%	411,896	100%

უზრუნველყოფილი ქონების საბაზრო ღირებულება სასესხო ხელშეკრულებების მიხედვით:

	31-დეკ-19	31-დეკ-18
-ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები -		
უძრავი ქონებით გამყარებული სესხი	14,490,834	10,955,264
-ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები -		
მოდრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	28,677	28,677
სულ	14,519,511	10,983,941

10. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-დეკ-19	31-დეკ-18
	ლარი	ლარი
მოთხოვნამდე ანაბარი	563,690	910,044
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	95,484	329,091
ფული სალაროში	30,760	468
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	689,934	1,239,603

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოსავალმა დეპოზიტებიდან და მიმდინარე ანგარიშიდან შეადგინა 6,049 ლარი (2018: 8,158). მოთხოვნამდე ანაბარს ერიცხება წლიური 2% სარგებელი.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-16 განმარტებით შენიშვნაში.

11. კაპიტალი

	ლარი
საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	654,573
საწესდებო კაპიტალის ზრდა	1,062,807
საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,717,380

2019 წლის განმავლობაში მფლობელების მიერ მოხდა ფულადი სახსრებით საწესდებო კაპიტალის ზრდა თანაბარი 50%-50% ოდენობით.

12. მიღებული სესხები

	31-დეკ-19	31-დეკ-18
გრძელვადიანი სესხები		
ფიზიკური პირებისგან მიღებული გრძელვადიანი სესხები	3,868,822	5,848,357
სულ გრძელვადიანი სესხები	3,868,822	5,848,357
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი		
ფიზიკური პირებისგან მიღებული გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	7,990	33,341
სულ გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	7,990	33,341
სულ სესხები	3,876,812	5,881,698

შპს მისო „B კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის ქართულ ლარში

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული სესხები შედგება ფიზიკური პირებისგან (დამფუძნებელი და სხვა დაკავშირებული მხარეები) აღებული სესხებისგან 10% და 18% წლიური საპროცენტო განაკვეთებით, რომლების დაფარვა ხორციელდება ყოველთვიურად, ძირითადად კი - სესხის ვადის გასვლის თარიღისთვის. 2 სესხის ამოწურვის ვადათ განსაზღვრულია 2019 წლის 31 დეკემბერი. ფიზიკური პირებისგან აღებულ დანარჩენ ყველა სესხს დაფარვის ვადა აქვს 2027 წლის 31 დეკემბერს.

2019 წლის მდგომარეობით, გადახდილია სესხის პროცენტი - 700,470 ლარი (2018: 822,154 ლარი).

13. გადავადებული მოგების გადასახადი

	31-დეკ-19	31-დეკ-18
გადავადებული საგადასახადო აქტივი	38,642	11,884
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	-	-
წმინდა	38,642	11,884

ქვემოთ მოცემული ცხრილები, თითოეული ტიპის დროებით სხვაობასთან მიმართებაში, ასახავენ გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებას პერიოდის განმავლობაში.

	სხვა სრული შემოსავალი	მოგება ან ზარალი	სულ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	3,886	3,886
სხვა ვალდებულებები	-	(374)	(374)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	3,512	3,512
სხვა ვალდებულებები	-	150	150
ძირითადი საშუალებები	-	8,222	8,222
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	11,884	11,884
სხვა ვალდებულებები	-	300	300
სესხის ზარალის უზრუნველყოფა	-	25,210	25,210
ძირითადი საშუალებები	-	1,248	1,248
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	38,642	38,642

14. ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, მისო ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს მისოსთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ მისოს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.

შპს მისო „B კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ქართულ ლარში

- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, მისო ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი

მისოს ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს მისოს საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31-დეკ -2019	31-დეკ-2018
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	659,174	1,239,135
გაცემული სესხები	3,645,750	4,898,563
სულ ფინანსური აქტივები	4,304,924	6,137,698
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	3,876,812	5,881,698
სხვა ვალდებულებები	11,655	12,000
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,888,467	5,893,698

საკრედიტო რისკი

მისო ახორციელებს საკრედიტო რისკის კატეგორიების გამოყოფას იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც განისაზღვრება საკრედიტო შეფასების გზით. საკრედიტო რისკის კატეგორია განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით, რაც არის რისკ ფაქტორების ინდიკატორი. აღნიშნული ფაქტორები იცვლება გამოვლენილი რისკის სახეობებიდან გამომდინარე. ნებისმიერი რისკის გამოვლენა ხდება საწყის ეტაპზე მსესხებელზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის დამუშავების გზით. რისკების გამოვლენა, რასაც შესაძლოა მოჰყვეს სხვადასხვა სახის საკრედიტო რისკი, ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს.

გასაცემი სესხის კატეგორიები განისაზღვრება სესხის დანიშნულების მიხედვით

გასაცემი სესხის კატეგორიები:

კატეგორია 1 - იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები

კატეგორია 2 - ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები

კატეგორიები დავალიანების შემთხვევაში:

C1 - 0 დღიანი ვადაგადაცილება

C2 - 1-30 დღიანი ვადაგადაცილება

C3 - 31-60 დღიანი ვადაგადაცილება

C4 - 61-90 დღიანი ვადაგადაცილება

D1 - 91-180 დღიანი ვადაგადაცილება

D2 > 180

მისო ახდენს პროგნოზთან დაკავშირებული ინფორმაციის გათვალისწინებას, როგორც იმის შეფასებისას, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ისე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშებისას.

მისო ახდენს საკრედიტო რისკების და საკრედიტო დანაკარგების მთავარი მაჩვენებლების იდენტიფიკაციასა და დოკუმენტირებას ისტორიული მონაცემების ანალიზის გამოყენებით, აფასებს მაკროეკონომიკური ცვლადების გავლენას დეფოლტის დადგომის შემთხვევაში და მისი აღდგენის მაჩვენებელს, ასევე, მოყვანილი მაკრო-ეკონომიკური ცვლილებების ანალიზს.

საკრედიტო რისკის კლასიფიკაცია

გაცემული სესხების გაუფასურების ხარისხის დასადგენად მისო იყენებს 3 ეტაპიან მოდელს. აღნიშნული მოდელის მიხედვით გაცემული სესხების თავდაპირველი აღიარების შემდგომ ხდება სესხების გაუფასურების შეფასება.

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, ხვდება პირველ კატეგორიაში და შემდგომ მუდმივად ხდება მასზე დაკვირვება და მონიტორინგი.
- თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ შეინიშნება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი/არსებითი ზრდა, მსგავსი სესხები გადადის მეორე კატეგორიაში, მაგრამ ავტომატურად არ იგულისხმება, რომ უფასურდება საკრედიტო რისკით.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, ავტომატურად ხვდება მესამე კატეგორიაში.
- პირველ კატეგორიაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ხდება 12 თვიანი პერიოდის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის წილით ფინანსური ინსტრუმენტის მთლიანი ვადის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში. მეორე და მესამე კატეგორიაში მყოფი ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები ფასდება ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადებთან მიმართების საფუძველზე.

შპს მისო „B კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ქართულ ლარში

ქვემოთ მოცემული დიაგრამა წარმოადგენს მისოს პოლიტიკას ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებაზე.

ეტაპი1	ეტაპი2	ეტაპი3
თავდაპირველი აღიარება	თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა	საკრედიტო რისკით გაუფასურებული აქტივები
12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	მთლიანი სასიცოცხლო ვადის საკრედიტო დანაკარგები	მთლიანი სასიცოცხლო ვადის საკრედიტო დანაკარგები

მისო მიიჩნევს, რომ ფინანსური აქტივები ექვემდებარება საკრედიტო რისკით გაუფასურებას მაშინ, როდესაც ინსტრუმენტის დაფარვის ვადა გადაცილებულია 180 და მეტი დღით. მიუხედავად იმისა, რომ, მისოს მიერ გაცემული ყველა სესხი უზრუნველყოფილია, საკრედიტო დანაკარგების შეფასებისას არ გაითვალისწინება უზრუნველყოფის საგნების ღირებულება და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ქვემოთ მოცემული მატრიცის მიხედვით:

ვადაგადაცილების დღეები	მიმდინარე	1-30	31-90	91-180	180 და მეტი
		ვადაგადაცილე ბა	ვადაგადაცილე ბა	ვადაგადაცილე ბა	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის % უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე	4%	16%	21%	27%	100%
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის % ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე	1%	15%	19%	21%	100%

ფინანსური აქტივები, რომელთა დაფარვის ვადაც არ არის ვადაგადაცილებული და კლასიფიცირებული როგორც მიმდინარე, მიიჩნევა როგორც პირველ ეტაპში მყოფი. ფინანსური აქტივები, რომელთა დაფარვის ვადა გადაცილებულია 180 და მეტი დღით, მიჩნეულია როგორც მესამე ეტაპში მყოფი. ხოლო სხვა დანარჩენი სესხები კლასიფიცირებულია მეორე ეტაპში.

შპს მისო „B კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

საკრედიტო დანაკარგების შეფასებისას გამოიყენება შემდეგი მიდგომები: ა) 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარებიდან საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა; ბ) მთლიანი სასიცოცხლო ვადის საკრედიტო დანაკარგი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარებიდან საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მისო ჩამოწერს ფინანსურ აქტივს, მთლიანად ან ნაწილობრივ, როდესაც ამოწურავს აღმდგენ ღონისძიებებს და ჩათვლის, რომ აღარ არსებობს აქტივის აღდგენის მოლოდინი. ფინანსური აქტივის აღდგენის მოლოდინი აღარ არსებობს თუ: ა) წყდება იძულებითი აღსრულების ღონისძიებები; ბ) როდესაც მისოს აღდგენის მეთოდი არის უზრუნველყოფილი ქონების ამოღება და უზრუნველყოფილი ქონების ღირებულება არის ისეთი, რომ არ არის აქტივის სრული აღდგენის გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივების მოდიფიკაცია

არის შემთხვევები, როდესაც კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე, მისო ცვლის კლიენტებზე გაცემული სესხების პირობებს. აღნიშნული სახის რესტრუქტურისაცა გულისხმობს კლიენტებისთვის გადახდების ვადის გახანგრძლივებას, გადასახდელი ჯარიმების პატიებას და ა.შ. აღნიშნული პოლიტიკა დაფუძნებულია იმ პრაქტიკაზე, რომ დიდი ალბათობით მოხდება გაცემული სესხების მიღება. მისოს მენეჯმენტის მიერ აღნიშნული მიდგომები მუდმივად არის გადახედვის რეჟიმში და მორგებულია მისოს ინტერესებს.

საკრედიტო რისკების მაქსიმალური კონცენტრაცია არის შემდეგი:

	31-დეკ-19		31-დეკ-18	
	ღირებულება	%	ღირებულება	%
გაცემული სესხები	3,645,750	85%	4,898,563	80%
ფული და ფულის ექვივალენტები	659,174	15%	1,239,135	20%
სულ ფინანსური აქტივები	4,304,924	100%	6,137,698	100%

მისო აწესებს საკრედიტო რისკის დონეს, რომელიც დაწესდება კლიენტებთან მიმართებაში მიღებულ რისკზე. მენეჯმენტი რეგულარულად ამტკიცებს საკრედიტო რისკის დონის შეზღუდვებს. ასეთი რისკების მონიტორინგი ხდება ბრუნვის საფუძველზე და ექვემდებარება ყოველწლიურ ან უფრო ხშირი მიმოხილვას.

მისო-ს მენეჯმენტი მიმოხილავს სესხების ვადიანობის ანალიზს და ავრცელებს იგივეს წინა პერიოდის არსებულ ნაშთებზე.

საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით.

მისო ახდენს საბაზრო რისკების ზემოქმედების შეფასებას. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციიდან (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებების და (გ) კაპიტალის, რომლებზეც მოქმედებს ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებები.

მენეჯმენტი ადგენს დასაშვები რისკების ლიმიტს, რომლებზეც ხდება ყოველდღიური მონიტორინგი, ამასთან, ამ მდგომარეობის გამოყენება არ არის გარანტი რომ ბაზარზე მნიშვნელოვანი რყევებისას არ მოხდება ამ ლიმიტის გადაჭარბება და შესაბამისი ზარალის მიღება.

სავალუტო რისკი: უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (მიმდინარე ანგარიშები, დეპოზიტები და გაცემული სესხები) და ვალდებულებები (გადასახდებლები) იწვევენ სავალუტო რისკს. მისოს არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განხორციელებას.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით

ფინანსური აქტივები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
აშშ დოლარი	1,844,580	2,128,599	(284,019)
ევრო	988	-	988
სულ	1,845,568	2,128,599	(283,031)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
აშშ დოლარი	2,320,937	4,078,065	(1,757,128)
ევრო	946	-	946
სულ	2,321,883	4,078,065	(1,756,182)

ზემოთმოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს. არამონეტარული მუხლები არ მიიჩნევა სავალუტო რისკების მატარებლად.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია მოგების ან ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობა სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილებისას ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში:

შპს მისო „B კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

	31 დეკემბერი 2019
	ზეგავლენა მოგება- ზარალზე
აშშ დოლარის 10%-თ გამყარება	(28,402)
აშშ დოლარის 10%-თ გაუფასურება	28,402
ევროს 10%-თ გამყარება	99
ევროს 10%-თ გაუფასურება	(99)
	31 დეკემბერი 2018
	ზეგავლენა მოგება- ზარალზე
აშშ დოლარის 10%-თ გამყარება	(175,713)
აშშ დოლარის 10%-თ გაუფასურება	175,713
ევროს 10%-თ გამყარება	95
ევროს 10%-თ გაუფასურება	(95)

გარდა მისოს მოგება-ზარალზე არსებული გავლენისა, არ არსებობს სხვა ზეგავლენა მისოს კაპიტალზე გაცვლითი კურსის ცვლილებების შედეგად. ეს რისკი გაანგარიშებული იყო მისოს საოპერაციო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ბალანსებთან დაკავშირებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. მისოზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები. ამგვარი ცვლილებების შედეგად საპროცენტო მარჟები შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ მოულოდნელი მოვლენების შემთხვევაში შეიძლება შემცირდეს ან გამოიწვიოს ზარალი.

მისო ახორციელებს თავისი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მონიტორინგს. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია საპროცენტო განაკვეთები მენეჯმენტის საკვანძო პერსონალის მიერ განხილული ანგარიშების საფუძველზე.

წლიურ %-ში	2019		2018	
	ლარი	აშშ დოლარი	ლარი	აშშ დოლარი
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	2%	2%	-	2%
გაცემული სესხები	18%-24%	18%-36%	18%-24%	18%-36%
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	14%	8%-10%	14%	8%-14%

შპს მისო „B კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

გეოგრაფიული რისკის კონცენტრაცია. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისოს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

	საქართველო	OECD ქვეყნები	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	659,174	-	659,174
გაცემული სესხები	3,645,750	-	3,645,750
სულ ფინანსური აქტივები	4,304,924	-	4,304,924
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	3,876,812	-	3,876,812
სხვა ფინანსური ვალდებულებები	11,655	-	11,655
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,888,467	-	3,888,467
წმინდა პოზიცია	447,217	-	447,217

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისოს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

	საქართველო	OECD ქვეყნები	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,239,603	-	1,239,603
გაცემული სესხები	4,486,667	-	4,486,667
სულ ფინანსური აქტივები	5,726,270	-	5,726,270
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	5,881,698	-	5,881,698
სხვა ფინანსური ვალდებულებები	12,000	-	12,000
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,893,698	-	5,893,698
წმინდა პოზიცია	(167,428)	-	(167,428)

ლიკვიდობის რისკი ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდობის რისკი ეხება სესხების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადებისა და საპროცენტო განაკვეთების დამთხვევა ან დარეგულირებული დაუმთხვევლობა არსებითად მნიშვნელოვანია ფინანსური ინსტიტუტების მენეჯმენტისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, მისო აწარმოებს კლიენტის და მისოს ოპერაციებთან დაკავშირებული მომავალი მოსალოდნელი ფულადი სახსრების ყოველდღიურ მონიტორინგს, რაც არის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილი.

შპს მისო „B კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	2%	523,355	-	-	-	523,355
გაცემული სესხები	22%	1,084,428	2,127,264	1,212,539	36,026	4,460,257
-						
სულ ფინანსური აქტივები		1,607,783	2,127,264	1,212,539	36,026	4,983,612
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	166,579	-	-	-	166,579
სულ ფინანსური აქტივები		1,774,362	2,127,264	1,212,539	36,026	5,150,191
ფინანსური ვალდებულებები						
მიღებული სესხები	11%	7,990	-	-	3,868,822	3,876,812
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	11,655	-	-	-	11,655
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	19,645	-	-	3,868,822	3,888,467
ლიკვიდურობის პოზიცია		1,754,717	2,127,264	1,212,539	(3,832,796)	1,261,724

შპს მისო „B კრედიტი“
 ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	2%	910,044	-	-	-	910,044
გაცემული სესხები	25%	2,201,520	345,757	607,297	1,332,093	4,486,667
-	-	-	-	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	-	3,111,564	345,757	607,297	1,332,093	5,396,711
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	329,559	-	-	-	329,559
სულ ფინანსური აქტივები	-	3,441,123	345,757	607,297	1,332,093	5,726,270
ფინანსური ვალდებულებები						
მიღებული სესხები	14%	33,341	-	-	5,848,357	5,881,698
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	12,000	-	-	-	12,000
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	45,341	-	-	5,848,357	5,893,698
ლიკვიდურობის პოზიცია	-	3,395,782	345,757	607,297	(4,516,264)	(167,428)
ფინანსური აქტივები	-	3,441,123	345,757	607,297	1,332,093	5,726,270

15. პირობითი ვალდებულებები*საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები:*

	2019	2018
1 წლის განმავლობაში	22,000	24,000
სულ სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახდელები	22,000	24,000

მისო აქირავებს უძრავ ქონებას (ქ.თბილისი, ქავთარაძის 19) იჯარის ხელშეკრულებით, რომელსაც ვადა ეწურება 2020 წლის 1 ნოემბერს.

16. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადაიხდება საიმედოდ, რომ მოხდეს ვალდებულების დაფარვა კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისას.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება მისოს მიერ გამოითვლება საბაზრო ინფორმაციის, მისი არსებობის შემთხვევაში, და შესაბამისი შეფასების მეთოდების საფუძველზე. თუმცა საბაზრო ინფორმაციის ინტერპრეტაციისთვის, სამართლიანი ღირებულების დადგენის მიზნით აუცილებელია პროფესიული მსჯელობის გამოყენება. საქართველო აგრძელებს განვითარებადი ბაზრის მახასიათებლების გამოვლენას და ეკონომიკური პირობები ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირება შეიძლება იყოს მოძველებული და ასახავდეს გაყიდვის ტრანზაქციებს დაბალ ფასში და არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას.

მისო იყენებს შეფასების მეთოდების შემდეგ იერარქიულ სტრუქტურას ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისა და განსაზღვრისთვის:

დონე 1: აქტიურ ბაზარზე მიმოქცევაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (ისეთი, როგორიცაა საჯარო გაყიდვაში არსებული წარმოებული ინსტრუმენტები, სავაჭრო და გაყიდვისთვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები) დაფუძნებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბაზრის კოტირებულ ფასებზე. ამ ინსტრუმენტებს მოიცავს დონე 1.

დონე 2: იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის მიმოქცევაში აქტიურ ბაზარზე (მაგალითად: არასაბირჟო წარმოებული ინსტრუმენტები) დგინდება იმ შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს და რაც შეიძლება ნაკლებად ეყრდნობა მისოს სპეციფიკის შეფასებას. თუ არსებობს ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი, ინსტრუმენტი მიეკუთვნება დონე 2-ს.

დონე 3: იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან მეტი მნიშვნელოვანი მონაცემი არ წარმოადგენს დაკვირვებადი ბაზრის მაჩვენებელს, ინსტრუმენტი მიეკუთვნება დონე 3-ს. (მაგ.: ბირჟაზე არაკოტირებულ ფასიან ქაღალდებს).

შპს მისო „B კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს სამართლიანი ღირებულების წარმოდგენილი იერარქიის დონის მიხედვით:

	2019			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	689,934	-		689,934
გაცემული სესხები		-	3,645,750	3,645,750
სულ ფინანსური აქტივები	689,934	-	3,645,750	4,335,684
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	-	3,876,812	3,876,812
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	11,655	11,655
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	3,888,467	3,888,467

	2018			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,239,603	-	-	1,239,603
გაცემული სესხები	-	-	4,486,667	4,486,667
სულ ფინანსური აქტივები	1,239,603	-	4,486,667	5,726,270
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	-	5,881,698	5,881,698
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	12,000	12,000
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	5,893,698	5,893,698

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებები, რომელიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით. საბალანსო ღირებულებების კლასების მიხედვით შედარება ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებებთან, რომელიც არაა აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულია ქვემოთ ცხრილში. ცხრილი არ შეიცავს არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას.

	2019		2018	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	689,934	689,934	1,239,603	1,239,603
გაცემული სესხები	3,645,750	3,645,750	4,486,667	4,486,667
სხვა ფინანსური აქტივები			-	-
სულ ფინანსური აქტივები აღრიცხული ამორტიზირებული ღირებულებით	4,335,684	4,335,684	5,726,270	5,726,270

შპს მისო „B კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

	2019		2018	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	3,876,812	3,876,812	5,881,698	5,881,698
სხვა ფინანსური ვალდებულებები	11,655	11,655	12,000	12,000
სულ ფინანსური ვალდებულებები აღრიცხული ამორტიზებული ღირებულებით	3,888,467	3,888,467	5,893,698	5,893,698

17. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად განიხილებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორის კონტროლის შესაძლებლობა ან ერთ მხარეს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარის ფინანსურ თუ საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. სავარაუდო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მფლობელთა წილები მოცემულია შემდეგი სახით: ირაკლი ბურჭულაძე 50%, თამარ მარშანია 50%.

	2019	2018
ტრანზაქციები:		
საპროცენტო შემოსავალი		
-მისოს ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები ან მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირები	2,345	-
საპროცენტო ხარჯი		
-მისოს ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები ან მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირები	(700,470)	(822,154)
იჯარის ხარჯი		
-მისოს ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები ან მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირები	(24,000)	(24,000)
	(181)	-
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	2019	2018
გაცემული სესხები		
-მისოს ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები ან მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირები	18,051	-
მიღებული სესხები		
-მისოს ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები ან მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირები	3,876,812	5,881,698

შპს მისო „B კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ქართულ ლარში

ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შემდეგია:

	2019	2018
<i>მოკლევადიანი ანაზღაურება – ხელფასები და ბონუსები</i>	147,594	144,000
სულ	147,594	144,000

18 კაპიტალის მართვა

მისოს მიზანს კაპიტალის შენარჩუნებასთან დაკავშირებით წარმოადგენს უზრუნველყოს აქციონერები ადექვატური ფინანსური სახსრების მიღებით და საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის N143/04 ბრძანების თანახმად, მისოს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრისათვის უნდა შეადგენდეს 500,000 ლარს, ხოლო 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 1,000,000 ლარს.

საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად:

საზედამხედველო კაპიტალი გაიანგარიშება, როგორც მთლიანი კაპიტალის, სუბორდინირებული ვალდებულებების და კაპიტალში კონვერტირებადი ვალის ჯამს გამოკლებული დაქვითვის ელემენტები (არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება, გადაფასების რეზერვი, ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში).

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის მისომ კლასიფიკაცია შეუცვალა მიღებულ სესხების ნაწილს ოდენობით - ლარი და მიაწოდა ახალი კლასიფიკაცია - კაპიტალში კონვერტირებადი ვალის. რის შედეგადაც დააკმაყოფილა საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ ოდენობა.

გარდა ზემოთ საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილია კოეფიციენტების ზღვრული (მინიმალური) მნიშვნელობები:

კაპიტალის კოეფიციენტი	18%
ლიკვიდობის კოეფიციენტი	18%
ინვესტიციების კოეფიციენტი	15%
ქონებრივი ინვესტიციის კოეფიციენტი	40%
ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი	15%
დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი	90%

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხსენებული კოეფიციენტების კავშირი ეროვნულ ბანკში წარდგენილ არააუდირებულ და ფასს-ის მიხედვით აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან.

კოეფიციენტი	ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ზღვრული %	არააუდირებული (ეროვნულ ბანკში წარდგენილი)	აუდირებული (ფასს-ის მიხედვით)
კაპიტალის კოეფიციენტი	მინიმალური 18%	93%	95%
ლიკვიდობის კოეფიციენტი	მინიმალური 18%	214%	204%
ინვესტიციების კოეფიციენტი	არაუმეტეს 15%	0%	0%
ქონებრივი ინვესტიციის კოეფიციენტი	არაუმეტეს 40%	1.37%	1.37%
ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი	არაუმეტეს 15%	0%	0%
დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი	არაუმეტეს 90%	0%	0%

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მისო აკმაყოფილებდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კოეფიციენტებზე მოთხოვნას.

19 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ, რომ ეკონომიკური საქმიანობის ამჟამინდელი შენელება ხდება კორონავირუსის პანდემიის შედეგად და მის შედეგად მიღებული ფინანსური ზემოქმედება სუბიექტის სამომავლო პერსპექტივებზე.

კორონავირუსის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოში ადამიანთა ცხოვრებაზე, რაც ხელს უშლის ლოჯისტიკური ჯაჭვების წარმოქმნას და იწვევს გარე და საშინაო მოთხოვნილების შემცირებას, ამასთან, ზრდის რისკის ავერსიას და გაურკვევლობას მომავლის შესახებ.

მენეჯმენტი აგრძელებს COVID-19-ის პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგს და იღებს ყველა ზომას ნებისმიერი მოსალოდნელი შედეგის შესამსუბუქებლად. მენეჯმენტმა შეაფასა ფუნქციონირებადობის საკითხი და მოამზადა საბაზისო, პესიმისტური და ოპტიმისტური სცენარები. მაშინაც კი, თუ ნეგატიური ვითარება გაგრძელდება მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში, რაც სერიოზულად იმოქმედებს ზოგადად მისო-ს ინდუსტრიაზე საქართველოში და შესაბამისად სესხის გაუფასურების ზარალი გაიზრდება, მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ლიკვიდობის და გადახდისუნარიანობის ზომიერი დონის გამო, მისო-ს ფუნქციონირებადობას საფრთხე არ შეექმნება.

მისოს სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მისოს 2019 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, მისოს 2019 წლის მმართველობის ანგარიშის კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

10 ივნისი 2020

არესემ საქართველოს სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

RSM Georgia




შპს მისო „B კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მოგება ბარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი	4	1,117,620	1,172,876
საპროცენტო ხარჯი	4	(700,740)	(822,154)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	4	417,150	350,722
სესხების გაუფასურების ანარიცხი	9	(402,610)	(32,813)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების გაუფასურების ანარიცხის შემდეგ		14,540	317,909
საოპერაციო ხარჯები	5	(435,318)	(386,576)
ვალუტის ვაჭრობით მიღებული წმინდა მოგება/(ბარალი)		6,087	(875)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		7,095	8,426
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ბარალი	6	(34,109)	(84,304)
წლის ბარალი		(441,705)	(145,420)
მოგების გადასახადის ხარჯი	7	25,730	8,072
წლის წმინდა ბარალი		(415,975)	(137,348)
სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		(415,975)	(137,348)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 10 ივნისს.

გოჩა არსიაშვილი

დირექტორი

დავით შაფაქიძე

ბუღალტერი

შპს მისო „B კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-დეკ-19	31-დეკ-18
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	15,642	31,749
გაცემული სესხები	9	3,645,750	4,486,667
გადავადებული გადასახადის აქტივი	13	38,642	11,884
არამატერიალური აქტივები		32,310	6,488
სხვა აქტივები		14,148	5,885
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	689,934	1,239,603
სულ აქტივები		4,436,426	5,782,276
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	1,717,380	654,573
დაგროვილი ზარალი		(1,198,837)	(782,862)
სულ კაპიტალი		518,543	(128,289)
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12	3,876,812	5,881,698
სხვა ვალდებულება		32,708	21,931
საგადასახადო ვალდებულებები		8,363	6,936
სულ ვალდებულებები		3,917,883	5,910,565
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,436,426	5,782,276

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 10 ივნისს.

გოჩა არსიაშვილი

დირექტორი

დავით შაფაქიძე

ბუღალტერი

შპს მისო „B კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენი შენა	მფლობელთა კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისთვის		269,728	(645,514)	(375,786)
წლის ზარალი			(137,348)	(137,348)
კაპიტალის შევსება		384,845	-	384,845
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის		654,573	(782,862)	(128,289)
წლის ზარალი		-	(415,975)	(415,975)
კაპიტალის შევსება		1,062,807	-	1,062,807
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის		1,717,380	(1,198,837)	518,543

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 10 ივნისს.

გოჩა არსიაშვილი

დირექტორი

დავით შაფაქიძე

ბუღალტერი

შპს მისო „B კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)

ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული სესხების ცვლილება	12	(2,384,570)	(315,314)
საწესდებო კაპიტალის შევსება		1,062,807	384,845
ფინანსური საქმიანობის შედეგად მიღებული/გასული ფულადი სახსრები		(1,321,763)	69,531
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		41,309	(32,814)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)		(549,669)	402,263
ნაშთი წლის დასაწყისში		1,239,603	837,340
ნაშთი წლის ბოლოს		689,934	1,239,603

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 10 ივნისს.

გოჩა არსიაშვილი

დავით შაფაქიძე

დირექტორი

ბუღალტერი

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია “B კრედიტი”
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მმართველობის ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი
31 დეკემბერი 2019

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	i
კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა	4
ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ	7
კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ.....	7
საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია.....	8
ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.....	8

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „B კრედიტის“ (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში მისოს ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობის ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 1 ივნისს.

დირექტორი

გოჩა არსიაშვილი

ბუღალტერი

დავით შაფაქიძე

კომპანიის განვითარების გეგმები

2020 წლისთვის დაგეგმილი გვაქვს ბიზნესის ზრდის და შემდგომი განვითარების სტრატეგია განვახორციელოთ შემდეგი მიმართულებებით:

- მარკეტინგული არხების განვითარება
- პროდუქტების დივერსიფიკაცია
- Call Center-ის მომსახურების დანერგვა აუტოსორსინგის მეშვეობით
- დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა
- ბაზრის კვლევების ჩატარება რამდენიმე მიმართულებით

მარკეტინგული არხების განვითარება

მიმდინარე წელს კომპანიის ერთ-ერთი სუსტ მხარეს წარმოადგენდა დისტრიბუციის არხების სიმცირე, რაც გარკვეულ დისკომფორტს ქმნიდა ჩვენი კლიენტებისთვის და ართულებდა კომპანიის ცნობადობის შექმნას. 2020 წლისთვის დაგეგმილი გაყიდვებიდან გამომდინარე კიდევ უფრო მეტად აუცილებელი ხდება მარკეტინგული არხების დივერსიფიკაცია და განვითარება. დივერსიფიკაციის მასშტაბი დამოკიდებულია მოზიდული დამატებითი საკრედიტო რესურსის მოცულობაზე. ინვესტიციების მოზიდვის გეგმა-მინიმუმის (1,000,000 აშშ დოლარი) განხორციელების შემთხვევაში 2020 წლისთვის ვგეგმავთ დამატებით ერთი სერვის ცენტრის გახსნას ქალაქ ბათუმში.

დისტრიბუციის პროცესში ვაპირებთ აქტიურად ჩავრთოთ გაყიდვების აგენტების მობილური ჯგუფები, რომლებიც პოტენციურ კლიენტებზე განახორციელებენ ჩვენი პროდუქტების შეთავაზებას და განაცხადების შევსებას მათ საცხოვრებელ და სამუშაო ადგილებზე. მცირე ბიზნესის აქტივობის არეალში და სხვადასხვა ტიპის სავაჭრო ობიექტებში დაიდგმება მცირე საინფორმაციო კიოსკები და სესხის განაცხადების მიღების ურნები.

მომდევნო წლის წარმატებული სარეკლამო კამპანიის მოსამზადებლად განვახორციელებთ კომპანიის მიერ მიმდინარე ეტაპზე გამოყენებული სარეკლამო არხების (სატელევიზიო, რადიო, გაზეთი, ინტერნეტ რეკლამა, ბეჭდვითი სარეკლამო მასალების გავრცელება, ვებ-გვერდი) ეფექტურობის დათვლა, რის მიხედვითაც მოვახდენთ 2020 წლის სარეკლამო ბიუჯეტის გადანაწილებას არხების მიხედვით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გაყიდვების 15% ე.წ word-of-mouth-ზე (არსებული მსესხებლების რეკომენდაციებით მოსული ახალი კლიენტები). სწორედ ამიტომ, კომპანიას 2020 წლის ერთ-ერთი პრიორიტეტულ ამოცანად ისახავს სერვისის ხარისხის კიდევ უფრო მეტად დახვეწას.

გაყიდვების სტიმულირების თვალსაზრისით ჩაფიქრებული გვაქვს ყოველკვარტალური პერიოდული აქციები, რომლის ფარგლებშიც გაყიდვების აგენტები პოტენციურ

**შპს მისო „B კრედიტი“
მმართველობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

მსესხებლებს, პროდუქტების შეთავაზების პარალელურად შეუვსებენ სპეციალურ მკაცრი აღრიცხვის მქონე გაყიდვების კუპონს. სესხის გაცემაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შევსებული კუპონის მქონე კლიენტს გაუკეთდება ფასდაკლება - სესხის სტანდარტულ ტარიფს გამოკლებული 0.25%, ხოლო კუპონის გამომწერ გაყიდვების აგენტს ბონუსის სახით მიეცემა სესხის თანხის 0.5%.

პროდუქტების დივერსიფიკაცია

2020 წლიდან დაგეგმილი გვაქვს პროდუქტების დივერსიფიკაცია. კერძოდ ჩვენს მომხმარებლებს იპოთეკური სესხების პარალელურად შევთავაზებთ შემდეგი ტიპის სესხებს:

- ბიზნეს სესხებს არსებული ბიზნესის მხარდასაჭერად
- Start-up ბიზნეს სესხებს საშეღავათო პერიოდების გათვალისწინებით
- სამომხმარებლო სესხები

ინვესტიციების მოზიდვა

ბიზნესის ზრდისა და განვითარების მასშტაბები ძირუღადაა დამოკიდებული მომავალი წლისთვის მოსაზიდი ინვესტიციების მოცულობაზე. ამ მიზნით კომპანიას დაგეგმილი აქვს მოლაპარაკებები აწარმოოს ორი მიმართულებით:

- უცხოური საინვესტიციო კომპანიების და საფინანსო ფონდების დაბალპროცენტიანი რესურსის მოსაზიდად, რაც დაგვეხმარება კონკურენტუნარიანი ბიზნეს და იპოთეკური სესხების გაცემაში
- ადგილობრივი ბანკების საკრედიტო ხაზების მოსაპოვებლად, რაც გათვლილი იქნება სამომხმარებლო ტიპის სესხების დასაფინანსებლად

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

კომპანიას 2009-2018 წლებში ჩატარებული აქვს ბაზრის კვლევა რამდენიმე მიმართულებით. 2009 წელს ჩატარებული კვლევის მიზანი იყო ბაზარზე არსებული კონკურენციის შესწავლა და „ბ კრედიტის“ საბაზრო პოზიციონირების და მიზნობრივი ჯგუფების სწორად განსაზღვრა.

თავდაპირველად ჩატარდა კვლევა მიზნობრივი სემენტის განსასაზღვრად.

არსებული რეალობიდან გამომდინარე ჩვენი მიზნობრივი ბაზარი პირობითად დაყავით ოთხ სეგმენტად:

- **I სეგმენტი** - მომხმარებლები, რომელთათვისაც გადამწყვეტი იყო სესხის სწრაფი (ერთ დღეში) და მარტივი პროცედურებით მიღება და ამისთვის მზად იყვნენ გადაიხადონ საბანკო საპროცენტო განაკვეთებზე უფრო მეტი. ამ კატეგორიაში ძირითადად შედიოდნენ მცირე და საშუალო ბიზნესის მქონე პირები, რომელთა უმრავლესობა უკვე სარგებლობდა საბანკო კრედიტით, მაგრამ საბანკო პროცედურებიდან გამომდინარე ან უარი ეთქვათ სესხის დამატებაზე, ან ბანკი მათთვის სასურველ ვადებში ვერ უზრუნველყოფდა ამ თანხის გაცემას. გათვლებიდან გამომდინარე ამ კატეგორიის მომხმარებლები წარმოადგენდნენ ჩვენი კომპანიისთვის ყველაზე უფრო მომგებიან და ლოიალურ სეგმენტს.
- **II სეგმენტი** - პირები, რომლებსაც ესაჭიროებოდათ სახსრები მცირე ბიზნესის დასაწყებად (Start up სესხები). იმ დროისთვის ჩვენთვის ეს ყველაზე უფრო მაღალი რისკის შემცველი სეგმენტი იყო.
- **III სეგმენტი** - პირები, რომლებსაც იმ დროისთვის მაღალ პროცენტებში (თვეში 5-10%) ქონდათ ნასესხები სახსრები ფიზიკური ან სხვადასხვა ტიპის იურიდიული

შპს მისო „B კრედიტი“
მმართველობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

პირებისგან. ეს სეგმენტიც საკმაოდ მაღალი რისკის შემცველ კატეგორიაში შევიყვანეთ.

- **IV სეგმენტი** - პირები, რომელთაც გააჩნდათ ყოველთვიური სტაბილური შემოსავლები ხელფასი, დივიდენდები, იჯარა, ფულადი გზავნილები და სხვადასხვა სამომხმარებლო მიზნით ესაჭიროებოდათ მცირე თანხები. ეს სეგმენტს შეეძლო კომპანიისთვის შეექმნა ყველაზე უფრო სტაბილური პორტფელი და შედარებით დაბალ რისკიანობით.

ამ კვლევის შედეგად ჩვენ შევიმუშავეთ თითოეული სეგმენტისთვის ინდივიდუალური მიდგომები და შევქმენით მათთვის ყველაზე უფრო მორგებული საკრედიტო პროდუქტები და პირობები.

მეორე კვლევის მიზანი იყო „B კრედიტის“ კონკურენტუნარიანობის დადგენა

ამ მიზნით კვლევის ფარგლებში საქართველოში იმ დროს მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები პირობითად დავეყავით ორ დიდ ჯგუფად:

1. ორგანიზაციები, რომელთა დამფუძნებლებიც არიან უცხოური ჰუმანიტარული /დონორი ინსტიტუტები და რომელთა მიზანიცაა ბიზნეს მიკრო-სესხების გაცემის გზით ეკონომიკის სტიმულირება.
2. ორგანიზაციები, რომელთა დამფუძნებლებიც არიან კერძო პირები ან საფინანსო ჯგუფები და რომელნიც ეწევიან, როგორც სალომბარდო (ანუ გირაოზე მიბმული) სესხების გაცემას ასევე ბიზნეს სესხებს მოგების მიღების მიზნით.

კვლევაში ჩართული იყო როგორც კომპანიის შიდა რესურსი, ასევე მსგავსი გამოცდილების მქონე კომპანია „სეილს ფორსი“, რომელთა მიზანიც იყო ამ ბაზარზე არსებული კომპანიების პროდუქტების და მიზნობრივი კლიენტების ქცევების შესწავლა სპეციალურად შედგენილი კითხვარების მეშვეობით.

ჩვენი კომპანიის დამფუძნებლების მიზნებიდან და საკრედიტო რესურსის წყაროებიდან გამომდინარე ჩვენი თავი მივაკუთვნეთ პირობითად განსაზღვრულ „მეორე ტიპის“ ჯგუფს, რომლის უმსხვილესი წარმომადგენელი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები იმ დროისთვის იყო: რიკო კრედიტი, თბილბიზნესი (ეს უკანასკნელი შეიქმნა, როგორც ს/ს „თბილბიზნესბანკი“-ის სამართალმონაცვლე, ეროვნული ბანკის მიერ კაპიტალის გაზრდის მოთხოვნის ვერ შესრულების შემდეგ), ბი.აი.ჯი, სვის კაპიტალი, ალფა კრედიტი და სხვა. ამ ტიპის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ძირითადი მიმართულება იყო ლომბარდული ტიპის დაკრედიტება, რომლის დროსაც საკრედიტო რისკი ბალანსდება მხოლოდ მსესხებლის ქონებით (რომელიც ღირებულებაში რამდენჯერმე უნდა აღემატებოდეს სესხის თანხას) და ნაკლებად გაითვალისწინება მსესხებლის შემოსავლები.

ამავე ჯგუფის ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ ლომბარდები, რომელთა საკრედიტო პორტფელის 70% შეადგენდა ოქროს სალომბარდო სესხებს ხოლო დანარჩენი 30% ბინების, ავტომანქანების და სხვადასხვა ტიპის ტექნიკის უზრუნველყოფის ქვეშ გაცემული სესხებს.

„B კრედიტი“ მიერ განსაზღვრული საკრედიტო პოლიტიკის, სტანდარტების და იმ დროისთვის არსებული სამომავლო მიზნების თვალსაზრისით ჩვენი კომპანია შევიყვანეთ

შპს მისო „B კრედიტი“
მმართველობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მეორე ტიპის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ჯგუფში და შესაბამისად მიმდინარე ეტაპზე მის ძირითად კონკურენტებად სწორედ ამ ჯგუფში შემავალი კომპანიები მოიაზრებოდა

კომპანიის კუნკურენტუნარიანობის დადგენის მიზნით შევიმუშავეთ კონკურენტუნარიანობის შეფასების ე.წ მატრიცა. შესაძარებლად შევარჩიეთ მიკროსაფინანსო სექტორის იმ დროისთვის არსებული ორი ლიდერი კომპანია "კრედო" და "ფინკა საქართველო" და ჩვენს კომპანიასთან სერვისის კუთხით ყველაზე ახლოს მდგომი ოთხი კომპანია; "B.I.G", "გირო კრედიტი". შეფასება მოხდა 5 ბალიანი სისტემით, სადაც 5 ქულა გამოხატავს ყველაზე მაღალ მნიშვნელობას, ხოლო 1 ქულა ყველაზე დაბალს. გასაზომი კრიტერიუმები და მათი მნიშვნელობები (წონები) შერჩეულ და შეფასებულ იქნა თავად რესპოდენტების მიერ, ჩვენს მიერ მომზადებული სპეციალური კითხვარების მეშვეობით. ჯამში გამოკითხულ იქნა ხუთასამდე რესპოდენტი, რომლებიც უკვე სარგებლობდნენ სხვადასხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სესხებით

	წონა	B კრედიტი	კრედო	ფინკა საქართველო	B.I.G	ალფა კრედიტი	თბილისი კრედიტი	Tam კრედიტი
სესხის პროცენტი	0.3	0.9	1.5	1.5	0.9	0.6	0.6	0.9
დამატებითი ხარჯების სიმცირე	0.2	0.8	1	1	0.6	0.4	0.6	0.6
სესხის ვადიანობა	0.1	0.4	0.4	0.3	0.3	0.2	0.2	0.3
გადახდის გრაფიკი	0.15	0.75	0.6	0.6	0.45	0.3	0.6	0.75
პროდუქტების მრავალფეროვნება	0.05	0.1	0.25	0.15	0.1	0.05	0.05	0.05
ფილიალების ქსელი	0.025	0.025	0.125	0.125	0.025	0.075	0.1	0.025
სისწრაფე	0.15	0.75	0.45	0.45	0.75	0.75	0.75	0.6
კომპანიის ცნობადობა	0.025	0.05	0.1	0.125	0.05	0.05	0.05	0.075
	1	3.78	4.43	4.25	3.18	2.43	2.95	3.30

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე ჩვენ წარმოდგენა შეგვექმნა ჩვენი კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და დაიგეგმა და განხორციელდა ისეთი მარკეტინგული ღონისძიებები, რომლებმაც შეუნარჩუნეს ჩვენს კომპანიას ბაზარზე სტაბილურად ოპერირების პირობები.

მესამე კვლევის მიზანი იყო ჩვენს მიერ გამოყენებული მარკეტინგული არხების (სატელევიზიო და რადიო რეკლამა, ინტერნეტ რეკლამა, ბანერები, დაქირავებული გაყიდვების აგენტები და ა.შ) ე.წ მარკეტინგული ROI-ის დათვლა. კვლევის შედეგან ჩვენ გამოვავლინეთ თითოეულის არხის წილი საერთო გაყიდვებში, რაც დაგვეხმარა ყველაზე უფრო ხარ-ეფექტური მარკეტინგული არხების დადგენაში.

ფინანსთა სამინისტროს და სეზ-ის მიერ შემუშავებული ახალი რეგულაციებიდან გამომდინარე ჩვენ ველით ბაზარზე გარკვეული ტიპის ცვლილებებს, როგორც ბაზრის მონაწილე სუბიექტების საქმიანობაში, ასევე მომხმარებელთა ქცევების ნაწილში. შესაბამისად, ჩვენი კომპანიის დღის წესრიგში დგას 2020 წლის I კვარტლის ბოლოს, ან II კვარტლის განმავლობაში ახალი კვლევების ჩატარება, რომელებიც დაგვეხმარება ახალი სტრატეგიის და საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებაში, ახალი სექმენტების განსაზღვრაში და საბანკო და სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პროდუქტებთან და სერვისებთან მიმართებაში კონკურენტუნარიანი ალტერნატივების შექმნაში.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

მიმდინარე ეტაპზე კომპანიას ფილიალები არ აქვს და ბაზარზე ოპერირებს მხოლოდ სათაო ოფისის მეშვეობით, რომელშიც განთავსებულია ფრონტ-ოფისი, საფინანსო განყოფილება, იურიდიული განყოფილება და დირექტორატი.

კლიენტთა მომსახურება წარმოებს ფრონტ-ოფისში განთავსებული საკრედიტო განყოფილების და საოპერაციო და სალაროს კვანძების მეშვეობით. კლიენტების საკრედიტო განაცხადები მიიღება საკრედიტო განყოფილებაში, სადაც ხდება სესხების პირველადი დამუშავება და პროექტის მომზადება საკრედიტო კომიტეტზე გასატანად.

საკრედიტო კომიტეტები ინიშნება ყოველდღიურად, სადაც დასამტკიცებლად განიხილება როგორც კრედიტ-ოფიცრების მიერ დამუშავებული ახალი საკრედიტო პროექტები, ასევე არსებული სესხების მონიტორინგის შედეგები და პრობლემური პორტფელის გამოსწორების გზები.

საკრედიტო კომიტეტის შემადგენლობაში შედიან: დირექტორი, საკრედიტოს უფროსი, პროექტზე პასუხისმგებელი საკრედიტო ექსპერტი, ფინანსური განყოფილების უფროსი და მთავარი იურისტი.

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

კომპანიის წინაშე დღემდე არსებული საბაზრო სეგმენტი და გამარტივებული პროცედურები ბუნებრივად ზრდიდა ბიზნესს და საკრედიტო რისკებს. აქედან გამომდინარე, დღემდე არსებულ საკანონმდებლო ბაზაზე დაყრდნობით შევქმენით ეფექტური იურიდიული პლატფორმა, დავადგინეთ ზღვრული სესხის მოცულობის და მათი უზრუნველყოფის საგნების ლიკვიდობის და შეფასების კრიტერიუმები.

მისოს მის მიერ აღებული საკრედიტო რისკის დონეებს განსაზღვრავს ერთი მსესხებლის ან მსესხებელთა ჯგუფების ან გეოგრაფიული სეგმენტების მიხედვით აღებული რისკის მოცულობაზე დადგენილი ლიმიტები. დადგენილი ლიმიტები რეგულარულად მოწმდება მენეჯმენტის მიერ, რომელიც ახორციელებს ვადაგადაცილებული ნაშთების მონიტორინგსა და შემდგომ კონტროლს.

მისოს რისკების მართვის დეპარტამენტი განიხილავს დაუფარავი სესხების ვადიანობის ანალიზს და ახორციელებს ვადაგადაცილებული ნაშთების მონიტორინგსა და შემდგომ კონტროლს. ამასთანავე ჩვენმა კომპანიამ 2018 წლის სექტემბრის თვიდან დაიწყო საკრედიტო რისკების მართვა სესხის დანაკარგების რეზერვების შექმნით, რომელიც გამომდინარეობს სესხების ვადიანობის მიხედვით.

კომპანია წლების განმავლობაში სესხებს გასცემს მხოლოდ ლიკვიდური ქონების უზრუნველყოფის ქვეშ (გამონაკლისია მხოლოდ კომპანიის თანამშრომლებზე გაცემული სესხები, რომელთა ზღვრული მოცულობაც მკაცრად განსაზღვრულია). სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი (LTV) ყოველთვის გვქონდა ბაზარზე არსებულზე და ახალი რეგულაციებით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებელთან გაცილებით უფრო დაბალი და არ აჭარბებდა, როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში 50%-ს. შესაბამისად, მაღალრისკიანი სესხების მოცულობა საკმაოდ უმნიშვნელოა საერთო პორტფელში.

შპს მისო „B კრედიტი“
მმართველობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების პორტფელი საკმაოდ დივერსიფიცირებულია (სესხის საშუალო მოცულობა შეადგენს 17 500 ლარს). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სესხების გაპრომლემების შემთხვევაში მომდინარე პოტენციური რისკები კომპანიას სრულად დაბალანსებული აქვს მაღალ-ლიკვიდურ უზრუნველყოფის საგნებზე მოთხოვნის უფლებით.

”B კრედიტი“-ის ვალდებულებების უდიდესი ნაწილი წარმოადგენს კონვერტირებად ვალდებულებას. ნასესხები სახსრების 98% მოდის კომპანიის დამფუძნებლისგან მიღებული სესხების წილად, ხოლო მათზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის მნიშვნელოვანი ნაწილის კაპიტალიზაციას ვახდენთ, ხოლო მეორე ნაწილის დამატებითი საკრედიტო რესურსად კონვერტირება ხდება. შესაბამისად ლიკვიდობიდან და ფულადი ნაკადებიდან მომდინარე რისკებიც სრულად დაბალანსებული გვაქვს. დამატებით ამისა, ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანიას აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები მკაცრად აქვს დარეგულირებული, აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადებისა და საპროცენტო განაკვეთების ერთმანეთთან დამთხვევა არ ხდება.

სავალუტო რისკის მართვის კუთხით მენეჯმენტს დაწესებული აქვს სავალუტო რისკის დონის ლიმიტები მთლიანობაში ერთდღიან და რამდენიმე დღიან პოზიციებზე, რომელთა მონიტორინგიც ყოველდღიურად ხორციელდება.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანია საკუთარი აქციების შეძენას არ ახდენს და არც მომავალში გეგმს დაგეგმილი.

ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №142/04 2018 წლის 5 ივლისის ბრძანების თანახმად კომპანიამ 1 სექტემბრიდან დაიწყო აქტივების კლასიფიკაცია და სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის შექმნა. აღნიშნული ხელს შეუწყობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეალური ფინანსური მდგომარეობის დადგენას და მის გაცნობას მიკროსაფინანსო ორგანიზაციის კრედიტორების, მენეჯმენტის, აქციონერების, პოტენციური ინვესტორების, საქართველოს ეროვნული ბანკისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის. საზედამხედველო მიზნებიდან გამომდინარე, კომპანია განახორციელებს აქტივების კლასიფიკაციის რისკების გათვალისწინებით და შექმნის ადეკვატური რეზერვს შესაძლო დანაკარგების დასაფარავად. საკრედიტო რისკის მართვის მიზნით, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ზუსტი, სრული და მიმდინარე ინფორმაცია, მათ შორის აქტივების ხარისხის შესახებ ასახული იქნება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ასევე 1 სექტემბრიდან ძალაში შედის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის

ზედამხედველობისა და რეგულირების წესის ამ წესის შესაბამისად ეროვნული ბანკი განახორციელებს კონტროლს ნორმატივებისა და ლიმიტების დადგენით. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ფინანსური სიძლიერის, გადახდისუნარიანობის, საიმედოობისა და მდგრადობის მიზნით გაიზარდა საწესდები კაპიტალი და შეადგინა 1 000 000 ლარის ოდენობით. კომპანიას გადაწყვეტილი აქვს საწესდებო კაპიტალის გაცილებით მეტი თანხით

შპს მისო „B კრედიტი“
მმართველობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შევსება, რაც იქნება კომპანიის ფინანსური სიძლიერის მყარი გარანტია, ასევე მოგვცემს მოსალოდნელი და მოულოდნელი ფინანსური დანაკარგებისა და ზარალის განეიტრალების საშუალებას. უზრუნველყოფილ იქნება კომპანიის კრედიტორთა ფულადი სახსრების შესაბამისი გამოყენების საიმედოობა, საქმიანობის რისკებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური შედეგების მინიმუმამდე დაყვანა. კომპანიას ეროვნული ბანკის მოთხოვნა საწესდებო კაპიტალის შევსებაზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესრულებილი აქვს და საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1 717 380 ლარს.

დამთხვევლობა არსებითად მნიშვნელოვანია ფინანსური ინსტიტუტების მენეჯმენტისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, მისო აწარმოებს კლიენტის და მისოს ოპერაციებთან დაკავშირებული მომავალი მოსალოდნელი ფულადი სახსრების ყოველდღიურ მონიტორინგს, რაც არის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილი.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს კომპანიის საქმიანობა, როგორც ფინანსური ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონურად არის წარმოდგენილი და აღქმადობისთვის გამოყენებულია ცხრილები და გრაფიკები.

დირექტორი

გოჩა არსიაშვილი

ბუღალტერი

დავით შაფაქიძე

მისო „B კრედიტი“

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შევსება, რაც იქნება კომპანიის ფინანსური სიძლიერის მყარი გარანტია, ასევე მოგვცემს მოსალოდნელი და მოულოდნელი ფინანსური დანაკარგებისა და ზარალის განეიტრალების საშუალებას. უზრუნველყოფილ იქნება კომპანიის კრედიტორთა ფულადი სახსრების შესაბამისი გამოყენების საიმედოობა, საქმიანობის რისკებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური შედეგების მინიმუმამდე დაყვანა. კომპანიას ეროვნული ბანკის მოთხოვნა საწესდებო კაპიტალის შევსებაზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესრულებილი აქვს და საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1 717 380 ლარს.


დაუმთხვევლობა არსებითად მნიშვნელოვანია ფინანსური ინსტიტუტების მენეჯმენტისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, მისო აწარმოებს კლიენტის და მისოს ოპერაციებთან დაკავშირებული მომავალი მოსალოდნელი ფულადი სახსრების ყოველდღიურ მონიტორინგს, რაც არის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილი.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს კომპანიის საქმიანობა, როგორც ფინანსური ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონიურად არის წარმოდგენილი და აღქმადობისთვის გამოყენებულია ცხრილები და გრაფიკები.

10 ივნისი 2020 წელი

დირექტორი

გოჩა არსიაშვილი



ბუღალტერი

დავით შაფაქიძე



ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „B კრედიტის“ (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში მისოს ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობის ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 10 ივნისს.

დირექტორი

გოჩა არსიაშვილი



ბუღალტერი

დავით შაფაქიძე

